უცხოური ვალუტა - ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას. ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ამ ოპერაციების თარიღით არსებული სავალუტო კურსების მეშვეობით. უცხოურ ვალუტებში გამოსახული ფულადი მუხლები ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაიყვანება საანგარიშგებო თარიღით არსებული კურსით. სავალუტო სხვაობებიდან წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

გაცვლითი კურსები

ჯგუფის მიერ სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
ლარი/აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/ევრო	3.0701	3.1044

ურთიერთგაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგაფარვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან სპეციალური დანიშნულების წინასწარ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

კონსოლიდირება - შვილობილი საწარმოები არიან კომპანიები, რომელთაც მშობელი საწარმო აკონტროლებს. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს. ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთები, შემოსავალი და ხარჯები ანულისრდება კონსოლიდირებისას. არამაკონტროლებელი წილები შვილობილი საწარმოების მოგებასა და ზარალში, ასევე წმინდა აქტივებში, ცალკეა წარდგენილი და მოიცავს არამაკონტროლებელი წილის თანხას თავდაპირველი გაერთიანების

საბუღალტრო
სამსახური

თარიღით, გაერთიანების თარიღის შემდეგ კაპიტალის ცვლილებებში არამაკონტროლებლის წილთან ერთად.

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები შემოსავლის სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებების გაყიდვების გადასახადის/დღგ-ს, დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე, ჯგუფის შიგნით გაყიდვების ანუღირების შემდეგ.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში და დაკმაყოფილებულია სპეციფიკური კრიტერიუმები ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

(a) შემოსავალი საბითუმო გაყიდვებიდან

ჯგუფი აწარმოებს და საბითუმო ბაზარზე ყიდის ღვინის პროდუქციის სპექტრს. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

(b) შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან

ჯგუფს საცალო გაყიდვის მაღაზიები აქვს ღვინის გასაყიდად. სქონლის გაყიდვა აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი პროდუქტს მომხმარებელს მიჰყიდის, რადგან კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა ამ ოპერაციის განხორციელების დღეს. საცალო გაყიდვები, როგორც წესი, ნაღდი ფულის ან საკრედიტო ბარათით გადახდებით ხორციელდება.

გადასახადები - ქართული კანონმდებლობით, რომელიც საანგარიშგებო თარიღით ძალაშია ან არსებითად ძალაშია, გათვალისწინებულია მოგების გადასახადით დაბეგვრა. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს 15%-იანი განაკვეთით ერიცხებოდათ მოგების გადასახადი იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვრცელდება ჯგუფზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. განაწილებული მოგების გარდა სხვა გადასახადი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, აღირიცხება სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში „საგადასახადო ხარჯები“.

დაბეგვრის კონცეფციის აღნიშნული ცვლილების გამო ტერმინი, აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა, კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, როგორც ეს განმარტებული ბასს 12-ით „მოგების გადასახადი“, არ ვრცელდება ახალი დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები აღირიცხულია პირვანდელი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის; (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად; და (ე) კვალიფიციური აქტივებისათვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

შენობა-ნაგებობები	5%
ავტო და მოწყობილობები	20%
საოფისე მოწყობილობები	20%
ავტომობილები	20%
საიჯარო ქონების გაუმჯობესებები	20%
მანქანა-დანადგარები	5-20%

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების თვითღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხით, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფა. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის მიერ ფლობილი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

მარაგი - მარაგი აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მარაგის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური

Handwritten signature

სარგებლოს შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ პირობითობის საკითხის გადაჭრის შემდეგ.

ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს დაფინანსების გარიგებას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულებისთვის) ან მისი პარტიორისთვის (ფინანსური აქტივისთვის). შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ გარიგებას, როდესაც გადახდა გადავადდება ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას გამოყენებულ ვადაზე ხანგრძლივად, მაგალითად, საქონლის გაყიდვისას უპროცენტო კრედიტის მიცემა მყიდველისათვის ან როდესაც დაფინანსება ხორციელდება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც საბაზრო განაკვეთს არ წარმოადგენს. თუ შეთანხმება დაფინანსების გარიგებას წარმოადგენს, მაშინ საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს სამომავლო გადახდების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული მსგავსი სავალო ინსტრუმენტის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირებული ღირებულებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსურ გრძელვადიან სავალო ინსტრუმენტებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივები ან მიმდინარე ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული თანხით.

ფინანსური აქტივები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდები ან მისაღები საკომისიოებისა და ქვლების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს სალაროსა და ბანკებში.

გაცემული სესხები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვლირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნები გაუფასურების შეფასება ხდება გაუფასურების ნიშნებისთვის თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მიიჩნევა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ერთმა ან მეტმა მოვლენამ, რომელიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გავლენა მოახდინა ამ ინვესტიციის შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნა ამოუღებელია, ის ჩამოიწერება ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში ამოღება დაკრედიტდება ანარიცხის

[Handwritten signature]

ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო თანხის ცვლილებები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ამოწურულია ან როდესაც ის აღნიშნულ ფინანსურ აქტივს და არსებითად აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებასა და ნასესხებ სახსრებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების ფინანსური ვალდებულების სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შეტანილი კაპიტალი - შეტანილი კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია შენიშვნაში 2, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება შეფასებებისგან განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა - ძირითადი საშუალებების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება მენეჯმენტის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დამკვლევა, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება - კომპანია იმ მომხმარებელთა ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს, რომლებიც 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. მიჩნეულია, რომ მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა, რომ მომხმარებელი გაკოტრდება ან ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის, ასევე დეფოლტი ან გადახდისუნარიობა წარმოადგენს მოთხოვნის პოტენციური გაუფასურების მაჩვენებლებს.

კომპანია 1 წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული ყველა მოთხოვნის საექვო ვალების ანარიცხი აღიარა 100%-ით, რადგან ისტორიული გამოცდილების მიხედვით მოთხოვნები, რომლებიც 1 წელზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ამოუღებელია. საექვო ვალების ანარიცხი 50%-ით აღიარდა იმ სავაჭრო

ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოთხოვნებისთვის, რომლებიც 181 დღიდან 1 წლამდეა გადაგადაცილებული, ხოლო 91 დღიდან 180 დღემდე გადაგადაცილებული მოთხოვნებისათვის საექვო ვალების ანარიცხია 20%. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან თუ გაუარესდება ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა ან ფაქტობრივი დეფოლტების რაოდენობა შეფასებულს გადაჭარბებს.

2018 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 1 იანვარს სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი იყო 30,038 ლარი და 0 ლარი, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების გარიგებების საწყისი აღიარება. ჯგუფი დაფინანსების გარიგებებს დებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისას, ამ გარიგებების ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალია თუ არა, ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთზე, როდესაც მსგავსი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯის საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე შეფასება. მენეჯმენტი ატარებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტს, რათა შეაფასოს ჯგუფის აქტივების უნარი, წარმოქმნან სამომავლო ფულადი ნაკადები; სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი განსჯის გამოყენება.

4. შემოსავალი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	2018
შემოსავალი საბითუმო გაყიდვებიდან	3,404,395
შემოსავალი საცალო გაყიდვებიდან	251,018
სულ	3,655,413

5. რეალიზაციის თვითღირებულება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა შემდეგს:

	2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წელი
საბითუმო:	
მასალები	2,299,335
ცვეთა, პირდაპირი	270,713
პირდაპირი შრომის ანაზღაურება	99,441
სხვა	45,868
სულ საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება, საბითუმო	2,715,357
საცალო:	
მასალები	214,343
სულ საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება, საცალო	214,343
სულ	2,929,700

Handwritten signature

ქართული ვაჭისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2018
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები	357,472
ტრანსპორტირებისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	242,553
ხელფასები და დაკავშირებული ხარჯები	59,361
სულ	659,386

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2018
ხელფასები და დაკავშირებული ხარჯები	356,774
მარაგის ჩამოწერა	139,528
გაუფასურების ხარჯი	105,139
იჯარის ხარჯი	98,202
სამივლინებო ხარჯები	67,531
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	51,010
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	40,971
სხვა საოპერაციო ხარჯები	76,602
სულ	935,757

Handwritten signature

2018/12/31

ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანაშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ღვინი)

8. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი საშუალებების ცვლილებები:

	მიწა	შენიშნა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავტომობილები	ოჯართი აღებული ქონების გაუმჯობესებები	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2018	26,310	2,149,075	2,956,430	211,549	44,325	24,239	3,559	5,415,487
შეძენა	-	14,952	37,122	57,026	11,635	-	1,623	122,358
31 დეკემბერი 2018	26,310	2,164,027	2,993,552	268,575	55,960	24,239	5,182	5,537,845
დაგროვილი დეკრეტი	-	189,246	1,269,136	59,029	9,051	2,231	260	1,528,953
1 იანვარი 2018	-	106,006	593,597	49,156	9,929	4,848	712	764,248
წლის ხარჯი	-	295,252	1,862,733	108,185	18,980	7,079	972	2,293,201
31 დეკემბერი 2018	-	1,868,775	1,130,819	160,390	36,980	17,160	4,210	3,244,644
წმინდა საბალანსო ღირებულება	26,310	1,959,829	1,687,294	152,520	35,274	22,008	3,299	3,886,534
31 დეკემბერი 2018	26,310	1,959,829	1,687,294	152,520	35,274	22,008	3,299	3,886,534

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს ჯგუფს არ ჰქონდა სრულად ცვეთადარიცხული მუხლები.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს ჯგუფს მოლიანად ჰქონდა დაგროვილი თავისი ძირითადი საშუალებები, განკის სესხის უზრუნველყოფისთვის (იხ. შენიშვნა 14);

ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

9. გაცემული სესხები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს გაცემული სესხების ვადები და პირობები გახლდათ შემდეგი:

მსესხებლები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
თელავი დისტილერი	აშშ დოლარი	9%	2027	386,996	218,215
კახეთი 3000	აშშ დოლარი	16%	2018	-	324,314
თელავი დისტილერი	ლარი	9%	2018	-	4,060
სულ გაცემული სესხები				386,996	546,589
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				-	328,374
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				386,996	218,215

10. მარაგები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს მარაგი გახლდათ შემდეგი:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
ნედლეული	2,816,163	120,573
დაუმთავრებელი წარმოება	1,702,012	2,612,152
შესაფუთი მასალები	564,688	291,844
მზა პროდუქცია	269,881	-
სულ	5,352,744	3,024,569

2018 წლის 31 დეკემბერს 453,018 ლარის ოდენობით ცვეთის თანხა კაპიტალიზდა მარაგებში.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა შემდეგს:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	962,715	915,744
გამოკლებული: ანარიცხი საექვო მოთხოვნებისთვის	(30,038)	-
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	932,677	915,744

საექვო ვალის ანარიცხის ცვლილება:

	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	-
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(30,038)
ნაშთი წლის ბოლოს	(30,038)

Handwritten signature

ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს ფული და ფულის ექვივალენტები გახლდათ შემდეგი:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
ფული სალაროში	23,022	54,228
ფული ბანკში	118,985	12,520
სულ	142,007	66,748

13. შეტანილი კაპიტალი

2018 წლის 30 იანვარს კომპანიის საბოლოო მფლობელმა - მიხეილ ჩხარტიშვილმა გადაწყვიტა ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფისთვის მიცემული სესხების ჯგუფის კაპიტალში შეტანა. ამ ოპერაციის თანხამ შეადგინა 9,527,248 ლარი, დარიცხული პროცენტის ჩათვლით.

2018 წლის განმავლობაში საბოლოო მფლობელმა დამატებითი შენატანი გააკეთა 566,959 ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს შეტანილმა კაპიტალმა შეადგინა 10,160,792 ლარი და 66,585 ლარი, შესაბამისად.

14. ნასესხები სახსრები

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს ნასესხები სახსრების ვადები და პირობები გახლდათ შემდეგი:

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
ხალიკ ბანკი საქართველო	აშშ დოლარი	8%	17/09/2019	2,684,798	-
ხალიკ ბანკი საქართველო	აშშ დოლარი	13%	16/09/2026	1,229,132	1,277,707
ხალიკ ბანკი საქართველო	ლარი	14%	07/02/2022	950,483	1,175,267
კახეთი 3000	აშშ დოლარი	8%	01/10/2023	487,805	-
თელავი დისტრილერი	აშშ დოლარი	9%	25/07/2022	89,341	80,326
მიხეილ ჩხარტიშვილი	აშშ დოლარი	9%	02/04/2021	-	5,747,104
მიხეილ ჩხარტიშვილი	აშშ დოლარი	9%	05/01/2022	-	2,749,588
მიხეილ ჩხარტიშვილი	აშშ დოლარი	10%	01/09/2022	-	1,013,398
მიხეილ ჩხარტიშვილი	აშშ დოლარი	9%	15/02/2021	-	906,703
სულ ნასესხები სახსრები				5,441,559	12,950,093
სესხებისა და ნასესხები სახსრების მოკლევადიანი ნაწილი				3,050,638	787,069
სესხებისა და ნასესხები სახსრების გრძელვადიანი ნაწილი				2,390,921	12,163,024

ხალიკ ბანკი საქართველოსგან ნასესხები თანხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 8).

ჯგუფმა ხელი მოაწერა შეთანხმებას „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან“ („APMA“), რომლის ფარგლებში APMA აფინანსებს ხალიკ ბანკი საქართველოსგან მიღებული სესხის 14%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 11%-ს. თანადაფინანსების ხანგრძლივობაა 66 თვე და

ქართული ვაჭისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

APMA წარმოადგენს ძირითადი თანხის 50%-ის გარანტიას, თუ უზრუნველყოფა არ იქნება საკმარისი აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტისადმი დავალიანების დასაფარად.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს APMA-გან მიღებულ იქნა შემოსავალი 116,928 ლარი, რაც კლასიფიცირებულია, როგორც საგრანტო შემოსავალი.

2018 წლის 30 იანვარს მიხეილ ჩხარტიშვილისგან მიღებული სესხები შეტანილ იქნა კომპანიის კაპიტალში (იხ. შენიშვნა 13).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის ნასესხები სესხების სახელშეკრულებო დაფარვის ვადებისა და შეთანხმებული გადახდის პერიოდების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს.

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
<3 თვეზე	85,712	118,097
3-12 თვე	2,964,926	668,972
>12 თვეზე	2,390,921	12,163,024
	5,441,559	12,950,093

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გახლდათ შემდეგი:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	558,353	541,624
მიღებული ავანსი	42,928	198,238
შრომის ანაზღაურების კრედიტორული დავალიანება	27,953	16,593
სხვა კრედიტორული დავალიანება	155,412	72,151
სულ	784,646	828,606

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	2018 წ. 31 დეკემბერი		
საბოლოო აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ კატეგორია, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
გაცემული სესხები	-	386,996	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	24,017	14,710
ნასესხები სახსრები	-	89,341	487,805
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	214,799	72,429
			386,996
			932,677
			5,441,559
			784,646

ქართული ვაზისა და ღვინის ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2018 წ. 1 იანვარი				
საბოლოო აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ კატეგორია, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	
გაცემული სესხები	-	222,275	324,314	546,589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	236,345	345,655	915,744
ნასესხები სახსრები	10,416,793	80,326	-	12,950,093
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	125,484	-	828,606
2018				
საბოლოო აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ კატეგორია, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	
შემოსავალი	-	21,966	676,975	3,655,413
ფინანსური შემოსავალი	-	17,768	15,274	35,141
ფინანსური ხარჯი	(47,201)	(6,081)	(3,856)	(462,500)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

მოცემულ პერიოდში უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება გახლდათ მოკლევადიანი გასამრჯელოები და შეადგინა 122,624 ლარი.

17. ვალდებულებები გა განუსაზღვრელობა

ვალდებულებები – ჯგუფს 2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს არ ჰქონდა დასაფარი არსებითი ვალდებულებები.

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუზიდავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არის ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის მენეჯმენტისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ ექვსი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს უფრო განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოში მრავალი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო საქართველოს ევროკავშირში მიღების გეგმასთან. მართალია, 2018 და 2017 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკაფა, მაგრამ უფრო მეტია მოსალოდნელი, რადგან იხვეწება გეგმა საქართველოს ევროკავშირის წევრად მიღების მისაღწევად.

Handwritten signature

აპ. 18/17/2018

18. საანგარიშგებო წლის შემდეგ მომხდარი მოვლენები

წლის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე არსებითი მოვლენა, რომელიც საჭიროებს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას.

უკრაინის ენის მომზადება
ქაფიან ღვინაშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N191198914



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

30.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ეკატერინე გვანცელაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 23-07-87

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

61623204282119



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი


ორიათას ცხრაშეტი წლის ოცდაათ სექტემბერს მე, ნოტარიუსს ეკატერინე გვანცელაძეს, ჩემს სანოტარო ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №39ა, პირველი სართული, მომართა: თარჯიმანმა ქეთევან ღვინიაშვილი-რეავეს, (პირადი №40001003243), რომელსაც წარმომადგინა დიპლომი აუ N042322, სარეგისტრაციო N238 მისი დიპლომის ასლი ინახება ჩემდამი რწმუნებულ სანოტარო ოფისში. მან მოითხოვა თარგმანზე მისი ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება სანოტარო წესით. მე ნოტარიუსმა გაავფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს.

I Ms. Ekaterine Gvantseladze, notary public of Tbilisi, with my notary office located in #39a I. Chavchavadze ave., Tbilisi, was approached by Ms. KETEVAN GVINIASHVILI-REAVES (ID #40001003243) translator the identity of which is familiar to me. The copy of her diploma is kept at my notary office. She requested the notary certification of her signature of the translation. I, the notary warned her about her responsibility for an inaccurate translation. Ms. KETEVAN GVINIASHVILI-REAVES stated that she has a good command of English and warranted the accuracy of the translation.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507) 48.00 (ორმოცდარვა) ლარი - მუხლი 31, დღგ 8.64 (რვა ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონული რეგისტრში რეგისტრაციისათვის - მუხლი 39, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507).

ნოტარიუსი

ეკატერინე გვანცელაძე



30.09.2019


განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**



განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**



Handwritten signature in blue ink.

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა: **განცხადებით აღნიშნული პირის დასახელებაა:**

